ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 91 (1001) | ოთხშაბათი, 7 ნოემბერი, 1956 წ. | გამოცემის მე-13 წელი | ფასი 30 კაპ.

## დიდება ცისკრის ამოსვლას

დაიგრიალა „ავრორამ" —
ალმართეთ ბარიკადები
ნევამაც აამთავრა
აქაფებული ტალღები.
უშექდა ზამთრის სასახლეს
ქვემეხთა ცხელი ლულები:
ხალხი შეტევას ანახლებს,
ჩვენც იმას ვეერთგულებით!
— აჯანყების დრო მოვიდა,
ალსდექით, გახმაურებით! —
მუშებს უხმობდნენ სმოლნიდან
მამაცი მეზღვაურები.
სროლით და ჭარის სისინით
ქუჩებს მოედნენ ისინი.
— ერთად ვიყაროთ მტრის ქინი! —
ისმოდა გმირთა ყიჟინი.
შემოხვეოდნენ ჯავშნოსანს,
წინ ედგათ დიდი ლენინი.
— დიდება ცისკრის ამოსვლას!
იძახდა ხელგაწვდენილი.
ახლა ზეიმობს „ავრორა"
არ დაქანცულა ფოლადი.
ბალტიის ზღვას კამბორა
რევოლუციის ხომალდი.

ვარლამ ჟურული

# გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 39-ე წლისთავს!



## წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

დღეს გმირი საბჭოთა ხალხი, მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალები უდიდესი პოლიტიკური და შემოქმედებითი აღმავლობის ვითარებაში ზეიმობენ დიად დღესასწაულს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 39-ე წლისთავს.

დღეს ჩვენი ქვეყნის მშრომელები, რომლებიც აღსავსენი არიან ენერგიითა და მომავლის რწმენით, საზეიმო დემონსტრაციებზე გამოდიან, რომ ახალი ძალით აჩვენონ თავისი მზადყოფნა კომუნიზმის მშენებლობის დიადი საქმისათვის ბრძოლაში, თავისი ურღვევი ერთიანობა და მჭიდრო დარაზმულობა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

სახელოვან დღესასწაულს, მთელს საბჭოთა ხალხთან ერთად, ღირსეულად ხვდებიან ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურელები და სპორტსმენები. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაულალავად ზრუნავენ ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდისათვის, მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობის განვითარებისათვის. ამ მამობრივი ზრუნვის მკაფიო გამოხატულება იყო საბჭოთა კავშირის ხალხთა 1956 წლის სპარტაკიადა, რომელიც ისტორიაში შევიდა, როგორც უმნიშვნელოვანესი მოვლენა ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. სპარტაკიადის მსვლელობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ფიზკულტურული კოლექტივები, სპორტში მომცადინეთა რიცხვი, ამაღლდა წამყვან სპორტსმენთა ოსტატობა.

საბჭოთა ქვეყანა მშვიდობის დიდი მედროშეა. დღესასწაულის დღეებში საბჭოთა ხალხი ერთხელ კიდევ ცხადყოფს თავის მშვიდობისმოყვარეობას, თავის გულითად მისწრაფებას — იცხოვროს მსოფლიოს ხალხებთან ძმური მეგობრობის ვითარებაში. საბჭოთა ხალხი მხურვალედ თანაუგრძნობს ეგვიპტელ ხალხს თავის სამართლიან, გმირულ ბრძოლაში ეროვნული დამოუკიდებლობისათვის და მრისხანე პროტესტს უცხადებს აგრესორებს. ჩვენი ქვეყნის მშრომელები თავის ხმას უერთებენ ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის ხმას, რომლებიც მოითხოვენ მიღებულ იქნას გადამწყვეტი ღონისძიებანი ეგვიპტის მიმართ ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის აგრესიული მოქმედების შესაწყვეტად და ეგვიპტის ტერიტორიიდან აგრესორთა ჯარების დაუყოვნებლივ გამოსაყვანად მთელს მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

**გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 39-ე წლისთავს!**

**მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!**

## ბრძანება

### სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

1956 წ. 7 ნოემბერი. № 176. ქ. მოსკოვი.

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

დღეს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა მთელ ჩვენს ხალხთან ერთად დღესასწაულობს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 39-ე წლისთავს.

საბჭოთა ადამიანები ამ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს ეგებებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებაში მიღწეული შრომითი წარმატებებით.

სოციალისტური მრეწველობის მუშაკები, ახორციელებენ რა მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის გეგმას, სულ უფრო მეტ ლითონს, სათბობს, მანქანებს, სახალხო მოხმარების საგნებს აძლევენ ჩვენს ქვეყანას. სოფლის მეურნეობის მუშაკებმა მთელი ჩვენი ხალხის აქტიური მხარდაჭერით წელს სერიოზული წარმატებები მოიპოვეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობის საქმეში.

საბჭოთა მთავრობა, ახორციელებს რა კომუნიზმის მშენებლობის, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისა და კულტურის განუხრელი ამაღლების პროგრამას, აქტიურად იბრძვის მშვიდობის საქმისათვის, ფხიზლად ადევნებს თვალყურს აგრესიული იმპერიალისტური წრეების ხრიკებს.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები, თავიანთი ხალხის, მთავრობისა და კომუნისტური პარტიისადმი უსაზღვროდ ერთგულნი, საიმედოდ იცავენ საბჭოთა ადამიანების მშვიდობიან შრომას, ფხიზლად დგანან ოქტომბრის რევოლუციის დიად მონაპოვართა საგუშაგოზე.

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირადი შემადგენლობა მოვალეა კიდევ უფრო მეტი დაძაბულობით სრულყოფდეს თავის საბრძოლო ოსტატობას, განუწყვეტლივ ამაღლებდეს სიფხიზლეს და საბრძოლო მზადყოფნას.

ვულოცავ არმიისა და ფლოტის ჯარისკაცებს, მატროსებს, სერჟანტებს, ზემდეგებს, ოფიცრებს, გენერლებსა და ადმირალებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცდამეცხრამეტე წლისთავს. დღესასწაულის აღსანიშნავად ვბრძანებ:

დღეს, 7 ნოემბერს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში და გმირ ქალაქებში: ლენინგრადში, სტალინგრადში, სევასტოპოლსა და ოდესაში მიცემულ იქნას სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ საბჭოთა სამშობლოს!

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს და მის მამაც შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელსაც მტკიცედ მიჰყავს საბჭოთა ხალხი კომუნიზმისაკენ!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი
საბჭოთა კავშირის მარშალი გ. ჟუკოვი.

## საზეიმო სხდომები

### მოსკოვი

მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საბჭოთა არმიის წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 39-ე წლისთავისადმი, გუშინ, 6 ნოემბერს, მიმდინარეობდა ლუჟნიკში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ახლახან აგებულ სპორტის სასახლის შენობაში. მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქალაქო კომიტეტის მოწვევით აქ შეიკრიბა 10 ათასზე მეტი მოსკოველი.

მთელ ტრიბუნებზე გაისმის ტაშის გრიალი. მოსკოველები და დედაქალაქის სტუმრები მქუხარე ოვაციით ხვდებიან ამხანაგების ნ. ა. ბულგანინის, კ. ე. ვოროშილოვის, ლ. მ. კაგანოვიჩის, გ. მ. მალენკოვის, ა. ი. მიქოიანის, ვ. მ. მოლოტოვის, მ. გ. პერვუხინის, მ. ზ. საბუროვის, მ. ა. სუსლოვის, ნ. ს. ხრუშჩოვის, გ. კ. ჟუკოვის, ლ. ი. ბრეჟნევის, დ. ტ. შეპილოვის, ე. ა. ფურცევას, ნ. მ. შვერნიკის, ა. ბ. არისტოვის, ნ. ი. ბელიაევის, პ. ნ. პოსპელოვის პრეზიდიუმში გამოჩენას.

საზეიმო სხდომას ხსნის მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ი. ბობროვნიკოვი.

მოხსენებას ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 39-ე წლისთავის შესახებ აკეთებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი. ოქტომბრის რევოლუციამ მსოფლიოს აუწყა ახალი ერის დაწყება, ამბობს მომხსენებელი, — სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ყველა ფორმისაგან, ომებისა და ხალხთა სისხლისმღვრელი მტრობისაგან კაცობრიობის განთავისუფლების ერის, ადამიანთა შორის ნამდვილი ადამიანური ურთიერთობის დამყარებისა და ადამიანის არსებობის ღირსეული პირობების შექმნის ერის დასაწყისი.

მოხსენების ნაწილი მიეძღვნა წარმატებებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის მშრომელებმა მოიპოვეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

მომხსენებელი გადადის საერთაშორისო მდგომარეობის ანალიზზე.

ამთავრებს რა მოხსენებას, მ. ა. სუსლოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დიდი ოქტომბრის დროშა არასოდეს ისე მაღლა არ ყოფილა აფრიალებული მსოფლიოში, როგორც ახლა. განსაკუთრებული ძალით ჟღერს ახლა უკვდავი ლენინის სიტყვები, რომ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება სავსებით და უსათუოდ უზრუნველყოფილია.

საზეიმო სხდომის დამთავრების შემდეგ მისმა მონაწილეებმა მოისმინეს დიდი კონცერტი.

### თბილისი

6 ნოემბერს საღამოს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა ქალაქის პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 39-ე წლისთავისადმი.

საზეიმო სხდომა გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ა. ე. მელაძემ. დარბაზში გაისმის საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნების ჰანგები.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 39-ე წლისთავის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე.



# ხელები შორს ეგვიპტისაგან!

ეგვიპტემ — უძველესი კულტურის ქვეყანამ კისრიდან გადაიგდო უცხოელ დამპყრობთა უღელი და თავისი ქვეყნის აყვავებას შეუდგა. მთავრობის მიერ გატარებულ იქნა მთელი რიგი რეფორმები კულტურის, ხელოვნების, სპორტისა და სხვა დარგებში.

„ჩვენი ქვეყნის ჭაბუკებო და ქალიშვილებო! თქვენ ხართ ახალი თაობის ავანგარდი, რომელზედაც დიდ იმედებს ამყარებს ეგვიპტე, თქვენ ხართ განთავისუფლებისა და რევოლუციის არმია. მთელ თქვენს ძალასა და უნარს, იმედსა და მისწრაფებას ერთ მიზანს — ჩვენი სამშობლოს ახალ, მტკიცე საფუძველზე აშენების საქმეს ახმართ". — ასე მიმართა ამას წინათ ეგვიპტის ახალგაზრდებს განათლების მინისტრმა ქამელ ელ დი ჰუსეინმა.

ეგვიპტეში ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის საქმეს ემსახურება განათლების, სოციალური მდგომარეობის, ადგილობრივი თვითმმართველობის, სოფლის მეურნეობის, შინაგან საქმეთა, სამხედრო და სამხედრო-საზღვაო სამინისტროები. ფიზკულტურას და სპორტს დიდი ყურადღება ეთმობა აგრეთვე ნაციონალური გვარდიაში, სხვადასხვა ახალგაზრდულ დაწესებულებაში.

ყველა ამ ორგანიზაციის საქმიანობის ცენტრს წარმოადგენს გასულ წელს შექმნილი ახალგაზრდობისა და სპორტის საქმეთა უმაღლესი საბჭო, რომელსაც განათლების სამინისტრო ხელმძღვანელობს. საბჭო 9 კომიტეტისაგან შედგება, რომელთა შორის არიან სტატისტიკის, ფინანსთა, პროპაგანდის, სპორტის ხელმძღვანელ მუშაკთა მომზადების, სპორტნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლოატაციის, მოსწავლეთა ორგანიზებული დასვენების, ფიზიკური განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და ბანაკების კომიტეტები.

ახალგაზრდობისა და სპორტის საქმეთა უმაღლესი საბჭო უშუალოდ ხელმძღვანელობს მრავალრიცხოვან ძირეულ კოლექტივებს, რომლებიც ძირითადად უკანასკნელ წლებში შეიქმნა. საბჭომ არსებობის ერთი წლის განმავლობაში უდიდესი მუშაობა გასწია სპორტის განვითარებისათვის ქვეყანაში და განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის.

გასული წლის 16-27 იანვარს ჩატარდა ეგვიპტის ახალგაზრდობის პირველი ფესტივალი, რომელშიც 65 ათასზე მეტმა ჭაბუკმა და ქალიშვილმა მიიღო მონაწილეობა. ქაიროს 11 ათასზე მეტი ახალგაზრდა ჩაება ტურისტულ ლაშქრობაში. ფესტივალის დღეებში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ჩოგბურთელები, ფეხბურთელები, ფრენბურთელები და სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლები.

რესპუბლიკაში დიდი პოპულარობით სარგებლობს კალათბურთი, ძალოსნობა, ჭიდაობა. ზემოთ ჩამოთვლილ სახეობებში ეგვიპტეს საკმაოდ ძლიერი გუნდებიც ჰყავს. რესპუბლიკის კალათბურთელთა ჩემპიონატი ყოველწლიურად ტარდება „ა" და „ბ" ჯგუფებში, რომელთაგან უძლიერესები ქმნიან ქვეყნის ნაკრებს. მათ მრავალი გამარჯვება მოუპოვებიათ საერთაშორისო შეხვედრებში. ხოლო 1949 წელს ევროპის ჩემპიონებიც კი იყვნენ.

დაუვიწყარი იყო ეგვიპტელებისათვის 1954 წელი, როცა იქ საერთაშორისო შეხვედრების ჩასატარებლად ჩავიდნენ საბჭოთა ძალოსნები, მოჭიდავეები და თბილისის „დინამოს" კალათბურთელ ვაჟთა გუნდი. მაშინ ქართველმა სპორტსმენებმა ხუთი შეხვედრა გამართეს ალექსანდრიაში, ქაიროსა და პორტსაიდში, რომლებსაც ათეულ ათასობით მაყურებელი დაესწრო. „ეგვიპტის პროგრესი", „ლა ბურს ეგიპტიენი" და სხვა გაზეთები მაღალ შეფასებას აძლევდნენ ჩვენი ქვეყნის ძალოსნების, მოჭიდავეებისა და კალათბურთელების ტექნიკას.

ამ რამდენიმე წლის წინათ ეგვიპტე ორასამდე მძლეოსანს ითვლიდა, ახლა კი სპორტის ეს სახეობა ადგილობრივ მცხოვრებთა ერთ-ერთ საყვარელ დარგად გადაიქცა. მნიშვნელოვნად გაიზარდა სექციებში მომეცადინეთა რიცხვი. რეგულარულად ტარდება მასობრივი ღონისძიებები მძლეოსნობაში. მარათონულ რბენაში. ამას წინათ მოწყობილ შეჯიბრებაში, რომელიც პირამიდების მახლობლად მიმდინარეობდა, მონაწილეობდა 200-ზე მეტი სპორტსმენი.

ეგვიპტეში არასოდეს არ ყოფილა ტანვარჯიში ისე პოპულარული, როგორც ახლა. ყველა ქალაქში სისტემატურად მუშაობენ ტანვარჯიშული კლუბები. განსაკუთრებით ძლიერია ჰელიოპოლისის, ალექსანდრიისა და ქაიროს კლუბები. მთავრობის გადაწყვეტილებით ამ სახეობის განვითარებისათვის ევროპიდან მოწვეულია მაღალკვალიფიციური მწვრთნელები და შემოზიდულია ინვენტარი. ყოველივე ამან ადგილობრივ სპორტსმენებს საშუალება მისცა სწრაფად აეთვისებინათ მსოფლიოს საუკეთესო ტანმოვარჯიშეთა მიღწევები.

რესპუბლიკაში განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში ფართო გაქანება ჰპოვა ფეხბურთმა და პოლომ. მათი გუნდები არაერთხელ გამოსულან გამარჯვებულნი იტალიასთან, საფრანგეთთან, ესპანეთთან, პორტუგალიასა და სხვა ქვეყნებთან გამართულ საერთაშორისო შეხვედრებში.

სპორტის კლასიკურ სახეობათა გვერდით რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ექცევა ნაციონალური სახეობების განვითარებას, როგორც ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის მდიდარ არსენალს. მათ შორის აღსანიშნავია ალ-ტახტი (ჯოხებით ბრძოლა, რომელიც ფარიკაობას წააგავს) და ბურთის ჰაკშა. ეს სახეობები განსაკუთრებით პოპულარულია სოფლის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში, რომელსაც ხელმძღვანელობს სოფლის სპორტული კლუბების ფედერაცია. ფედერაციის ამოცანას შეადგენს გამოავლინოს და მომავალში დანერგოს სპორტის ნაციონალური სახეობანი, უხელმძღვანელოს ფიზკულტურულ საქმიანობას მიწათმოქმედთა შორის.

ამჟამად ეგვიპტელი ახალგაზრდები აქტიურად ემზადებიან ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეექვსე მსოფლიო ფესტივალისათვის, რომელიც მომავალ წელს ჩატარდება მოსკოვში. მიმდინარე წლის 14-16 აგვისტოს ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში გამართული ფესტივალის მოსამზადებელი კომიტეტის სხდომებზე სიტყვით გამოსულმა ეგვიპტის ახალგაზრდობისა და სპორტის საქმეთა უმაღლესი საბჭოს წევრმა, დოქტორმა მოჰამედ ალამ განაცხადა, რომ ეგვიპტეს განზრახული აქვს მოსკოვში გამოგზავნოს 1.000-მდე კაცი. რესპუბლიკაში დამთავრდა ფესტივალზე წამსვლელთა შერჩევითი შეჯიბრებები. საბოლოო შერჩევა მოეწყობა 1957 წლის მაისში.

ქვეყნის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს ოლიმპიური გუნდების დასაკომპლექტებლად. გადაწყვეტილი იყო მონაწილეობის მიღება მელბურნის ოლიმპიურ თამაშებში, მაგრამ ისრაელის, ინგლისისა და საფრანგეთის ვერაგულმა თავდასხმამ შეაფერხა ეს საქმე. ახლა ეგვიპტელი სპორტსმენები იარაღით ხელში იბრძვიან თავიანთი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

— ხელები შორს ეგვიპტისაგან!
— გაისმის მთელს მსოფლიოში. ამ მრისხანე მოწოდებას თავიანთ ხმას მსოფლიოს მშვიდობის მოყვარე სპორტსმენებიც უერთებენ.

ო. გელაშვილი

## წერილი რედაქციას

### ველით პასუხს

მიმდინარე წლის 28 ოქტომბერს შედგა უკანასკნელი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. „ა" კლასის გუნდების 1956 წლის ტურნირი დამთავრდა.

ჩვენს წინ დევს გათამაშების ცხრილი. ან გათამაშების ცხრილი რა საჭიროა, როცა ყოველ ჩვენგანს კარგად ახსოვს, რომ თბილისის „დინამო" მერვე ადგილზეა და ბურთების პასიური შეფარდება აქვს.

რასაკვირველია, არავინ არაა კმაყოფილი იმით, რომ შარშანდელთან შედარებით თბილისელებმა მხოლოდ ერთი ადგილით აიწიეს მაღლა. მერვე ადგილი ისევე არადამაკმაყოფილებელია ჩვენი გუნდისათვის, როგორც მეცხრე.

ჩვენ, გულშემატკივრები, ბევრ რამეში ვცდებით. ხანდახან ძლიერ უხეშადაც. ამის შესახებ სწორედ წერდნენ თბილისის „დინამოს" მწვრთნელები გ. ჯეჯელავა და ა. კიკნაძე. მაგრამ ზოგიერთ რამეში ხომ უდავოდ მართლები ვართ? მართლები ვართ მაგალითად, იმაში, რომ გუნდმა ჩემპიონატის ბევრი მატჩი თავის შესაძლებლობაზე გაცილებით დაბლა ჩაატარა და, საერთოდ, მისი შედეგები არამდგრადი და ერთობ არასტაბილურია.

გ. ჯეჯელავამ იანვარში „ლელოს" ფურცლებზე გვითხრა „წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო". ახლა ხომ შემოდგომაა — დავთვალოთ...

ა. წ. 8 ივნისის „ლელოში" გ. ჯეჯელავა და ა. კიკნაძე წერდნენ: „... ყოველ გუნდს აქვს ცალკეული ჩავარდნები, ხოლო სეზონის ბოლოს, როცა ჩემპიონატის ალამს დაუშვებენ, ნამდვილად ჯამდება — ჩავარდნა ჭარბობდა გამარჯვებას თუ პირიქით".

აჰა, ჩემპიონატის ალამიც დაშვებულია.

თბილისის „დინამოს" ოსტატთა კოლექტივის ქომაგები, მათი გულშემატკივრები მწვრთნელებისაგან მოვითხოვთ გულახდილ, პირდაპირ წერილს განვლილი სეზონის შესახებ. ჩვენი აზრით გუნდში ბევრი რამ გაკეთდა, გუნდმა კრიზისი განვლო, მაგრამ სასურველი შედეგი არ ჩანს, „წიწილები" (ე. ი. ქულები) ერთობ ცოტაა დასათვლელი.

პასუხს მწვრთნელთაგან ველით.

ს. ყურაშვილი, ო. ნადირაძე, ა. მელაძე, ვ. სარქისოვი, გ. კოგაიძე, ვ. მეტრეველი, დ. ნაცვლიშვილი, ო. კილასონია, ი. მეტრეველი, თ. ნოზაძე, ვ. კერესელიძე.

## ფესტივალს მიუძღვნეს

### ხვამლზე

ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის წრემ (ხელმძღვანელი ა. ჩაკვეტაძე) მოაწყო ფესტივალისადმი მიძღვნილი სამდღიანი ლაშქრობა ხვამლის მთაზე.

26 ოქტომბერს ნორჩი მოლაშქრეები სოფელ მექვენაში დაბანაკდნენ, ხოლო მეორე დღეს დაიწყო უშუალო იერიში მთაზე. დღის 3 საათსა და 30 წუთზე ყველა მონაწილე იმყოფებოდა უმაღლეს წერტილზე — 2.002 მეტრზე.

ზ. მესხიშვილი

### ალპინიადა

მოეწყო ფესტივალისადმი მიძღვნილი საუნივერსიტეტო ალპინიადა, რომელშიც მონაწილეობდა 33 ახალგაზრდა. ალპინიადის მონაწილეებმა ხაზარაძის ხელმძღვანელობით 26 ოქტომბერს დატოვეს თბილისი და გუდამაყარისაკენ გაემართნენ. პირველი ღამისთევა სოფელ ჩოხში მოეწყო. მეორე დღეს კარვები ვაშლა ჭიუხების ძირში. მოსამზადებელი მუშაობისა და თეორიული საუბრების შემდეგ 29 ოქტომბერს დაიწყო უსახელო მწვერვალის იერიში. ოთხსაათიანი მძიმე და მომქანცველი იერიშის შემდეგ მწვერვალი დაპყრობილი იქნა. სპორტსმენები ერთმანეთს ულოცავდნენ ახალ გამარჯვებას. სახელდახელოდ მოწყობილ მიტინგზე მიიღეს გადაწყვეტილება მწვერვალისათვის პირველი ფესტივალის სახელის დარქმევის შესახებ.

ვ. ელენტი



ს უ რ ა თ ზ ე: სტუდენტი ალპინისტები მწვერვალზე.

## ჩვენს ხმას ვუერთებთ

მთელი პროგრესული კაცობრიობა ერთით გამოუთქმელ ვულისწყრომას გამოთქვამს იმის გამო, რომ ეგვიპტე, ეს უძველესი კულტურის კერა და მისი მშვიდობისმოყვარე, მშრომელი ხალხი უსაშინლესი აგრესიის მსხვერპლი გახდა. ქვეყანა, რომელმაც ხმა აიმაღლა უცხოური იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ხალხი, რომელმაც სცადა თავისი კანონიერი უფლებების შენარჩუნება, დღეს აგრესორთა შეიარაღებული ძალების დაუნდობელ ცეცხლს იგერიებს.

არ შეიძლება დუმილით შეხვდე იმ უსაზიზღრეს ძალადობის აქტს, რაც თავს მოახვია ეგვიპტეს ინგლის-საფრანგეთის მილიტარიზმმა, ჩვენთვის ეს განსაკუთრებით სამწუხაროა, რადგან სულ ორიოდე წლის წინ, თბილისის „დინამოს" ეგვიპტეში ყოფნის დროს, ვიგრძენით და ვნახეთ თუ როგორი სიყვარულით აშენებდა ხალხი თავის მომავალს, როგორი პოპულარობით სარგებლობდა იქ სიტყვები — თავისუფლება და მშვიდობა.

ჩვენს მეხსიერებაში ღრმად არის აღბეჭდილი ეგვიპტელთა მხიარული სახეები, რომლითაც ისინი მოდიოდნენ სტადიონზე, ის მქუხარე ტაში და მისალმება, რომლითაც ისინი გვაჯილდოვებდნენ თამაშის შემდეგ, ის აღტაცება, რომელსაც ეგვიპტელი ხალხი გამოთქვამდა საბჭოთა ადამიანებთან შეხვედრის დროს. დღეს მათი სახეები მოღუშულია, რადგან მათი საყვარელი ქაირო, ალექსანდრია და პორტსაიდი იმპერიალისტთა თვითმფრინავების ბომბარდირებას განიცდიან.

ეგვიპტელი ხალხი მტკიცედ დაირაზმა აგრესორთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მათი გადაწყვეტილება ურყევია — იბრძოლონ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე და დაუმტკიცონ ომის გამჩაღებლებს, რომ მშვიდობისმოყვარე ხალხების ნება-სურვილს ვერავითარი ყუმბარები და ტყვიები ვერ ჩააქრობენ. ეგვიპტე იბრძვის სამართლიანი საქმისათვის. იგი ამ ბრძოლაში არ არის მარტო, მასთანაა მთელი პროგრესული კაცობრიობა.

თბილისის „დინამოს" კალათბურთელთა გუნდი.

# მეომრის ნაამბობი

**1945 წლის 5 აპრილს კუნძულ ტექსელზე (ჰოლანდია) გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად აჯანყდა ქართველი ტყვეებისაგან შემდგარი ბატალიონი. ამბოხების ალი, რომელიც დღეების მანძილზე გიზგიზებდა შორეულ ტექსელის მიწაზე, იმ ფარული ბრძოლების უკანასკნელი აქტი იყო, რომელსაც დიდხანს აწარმოებდნენ ტყვე ქართველები წინააღმდეგობის მოძრაობის პარტიზანულ რაზმებთან ერთად. აჯანყება დამარცხდა. ბევრი ქართველი გმირული სიკვდილით დაეცა ბრძოლის ველზე. სისხლით შეღებილი კუნძულის მიწა, გადამწვარი და გაპარტახებული სოფლები და დაღუპულთა ნათელი ხსოვნა ჰოლანდიელების შეგნებაში დარჩა, როგორც კაცობრიობის უსაშინლეს მტერზე გამარჯვების სიმბოლო.**

**ტექსელის ტრაგედიაში (ასე მონათლეს ეს დრამატული ეპოპეა ჰოლანდიელებმა) გმირი მებრძოლებისა და ამბოხების ორგანიზატორების შალვა ლოლაძის, ევგენი არტემიძის, სერგო გუჯაბიძის, ნოე გონგლაძის, იოაკიმ ჯანჯღავასი და სხვათა დაუვიწყარ სახელებთან ერთად ვხვდებით პოპულარული საბჭოთა მოჭიდავის, დღეს ახალგაზრდა თაობის გულისხმიერი აღმზრდელის, საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონის შალვა ნოზაძის გვარსაც. იგი თავის მამაც თანამემამულეებთან ერთად გააფთრებით იბრძოდა დაუნდობელი მტრის ჭარბი ძალების წინააღმდეგ და ერთერთმა უკანასკნელთაგანმა დატოვა ბრძოლის ველი.**

**დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ ნარკვევს, რომელიც მოგვითხრობს ტექსელის გმირების ცხოვრებისა და ბრძოლის ცალკეულ ეპიზოდებზე. იგი უმთავრესად შალვა ნოზაძის დღიურებსა და მოგონებებზეა დაყრდნობილი.**

1944 წელი. იანვარი. ზღვისპირა პატარა ქალაქი ცანფორტბადი ...ცოცხლის არავითარ ნიშანწყალს არ იძლევა. პირველყოფილი, ველური მყუდროება აუტანელ განწყობილებას ქმნის. ალბად ასეთი იქნებოდა ათასეული წლების წინ გაქვავებული რომელიმე ქალაქი.

ნაშუადღევს ცანფორტბადი გამოცოცხლდა. აქა-იქ მოლაპარაკეთა ...ები გაისმა, სადღაც შორს მოტოციკლმა ჩაიქროლა. ძაღლმა დაიყეფა. ...რა, ქალაქი მთლიანად არ მოკვდა, ...მაგრამ ჰაერი რაღაც საშინელის მოლოდინით არის დამუხტული. ადგილობრივი მცხოვრებლები იშვიათად გამოდიან გარეთ — გაურბიან უსიამოვნო შეხვედრას გერმანელებთან. ...ც ნაძალადევი „სტუმრები“ გრძნობენ თავს მაინცდამაინც არხეინად.

ქალაქში საბარგო მანქანა შემოგორდა. გუშაგმა იგი უსიტყვოდ გაატარა. მანქანა გრძელი სახლის ...წინ გაჩერდა. სახლი ამ შენობას მხოლოდ ფორმალურად ერქვა, რადგან იგი საქონლის დასამწყვდევ გომურს უფრო ჰგავდა. მანქანიდან ...ზნით გადმოვიდა ათამდე ფერმკრთალი მამაკაცი და იქვე პატარა შენობაში შევიდა.

გრძელი მიხაკისფერი გომურის ...თაღერთი ფანჯრიდან რამდენიმე ...ელი თვალი გამოჩნდა. მათ გულმოდგინედ შეათვალიერეს ახლადმოსულები და მოშორდნენ სარკმელს. ...ხდებოდა ყოველთვის, როდესაც ცანფორტბადის გარეუბანში ტყვეების ახალ ნაკადს მოიყვანდნენ.

ქართველი ტყვეებისაგან შემდგარი ბატალიონი უკვე კარგა ხანი იყო, რაც იდგა ცანფორტბადის მიდამოებში. გერმანელები მათ დილიდან გვიან საღამომდე ამუშავებდნენ ფიზიკურად.

ერთ დღეს ახალმოყვანილთა სანახავად მოვიდა ასეულის უფროსი შალვა ლოლაძე, რომელსაც გაეგო, რომ ტყვეთა შორის ყოფილა შალვა ნოზაძე. ნოზაძეს ასეულის უფროსი ჯერ კიდევ თბილისიდან იცნობდა. ბევრი ილაპარაკეს დიდი ხნის უნახავმა მეგობრებმა, გაიხსენეს ძველი ამბები, ნაცნობები, იჩურჩულეს შექმნილ მდგომარეობაზე და მწარე ფიქრებით დაშორდნენ ერთმანეთს. ამ დღიდან შალვა ნოზაძე ბატალიონის ცხოვრების აქტიური თანამგზავრი გახდა. იგი მჭიდრო კონტაქტში შევიდა იმ ადამიანებთან, რომლებიც შემდეგ ქართული ბატალიონის ამბოხების ორგანიზატორები გახდნენ.

* * *

ზამთრის სუსხიან დილას ერთერთი სახლის წინ ვაჩერდა დაბალი, შავგვრემანი სახის მამაკაცი, რომელსაც ხელში რაღაც ფუთა ეკავა. უცნობმა შეათვალიერა სახლის შესასვლელი და ოდნავ გასაგონი ხმით დააკაკუნა. კარი გაიღო და უმალ დაიხურა. უცნობი შევიდა ოთახში.

ხანმოკლე საუბრის შემდეგ სახლის პატრონმა გაარკვია, რომ სტუმარი ყოფილა ტყვე ქართველი, გვარად არტემიძე. ფუთაში კი შეხვეული იყო საცვალი, რომელიც არტემიძეს გასარეცხად მოეტანა.

ქართველი ტყვეები ქალაქის მცხოვრებთა სიმპათიებით სარგებლობდნენ. ეს სულ მალე საუბარსაც დაეტყო. მასპინძელმა საუბარში რამდენჯერმე ახსენა არალეგალური ჯგუფი, შემდეგ კი გამოტყდა, რომ იგი კონსპირაციული კომუნისტური პარტიის წევრი იყო. სახლის პატრონი არტემიძეს დაპირდა, გაგაცნობ არალეგალური ორგანიზაციის ხელმძღვანელებსო. დაინიშნა შეხვედრის დღე და ადგილი.

შინ დაბრუნებულმა არტემიძემ მომხდარი საიდუმლოდ გაანდო საიმედო ადამიანებს, შალვა ნოზაძეს და სერგო გუჯაბიძეს. გადაწყდა, ჰარლემში (სადაც უნდა მომხდარიყო შეხვედრა) სამივე ერთად წავიდოდნენ.

კვირა დღე იყო. ქალაქიდან გასვლა სპეციალური ნებართვის გარეშე არ შეიძლებოდა. ნოზაძემ მოახერხა საშვების შოვნა და სამივე ჩქარი ნაბიჯით გაემგზავრა ჰარლემის „დასათვალიერებლად“.

... საუბარი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა. ლამაზი, სანდომიანი სახის ახალგაზრდა ქალმა ბევრი რამ გაიგო ქართველ ტყვეებზე. თავის



შ. ნოზაძე

მხრივ ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის რაიონული კომიტეტის მდივანმა ანი კლაინმა მოსულებს უამბო ორგანიზაციის მუშაობაზე, მომავალ ამოცანებზე, დაათვალიერებინა არალეგალური სტამბა. გადაწყდა, ეს სამეული იატაკქვეშა მუშაობისათვის კიდევ რამდენიმე საიმედო პირს შეარჩევდა, რომლებიც ასეულებში ჩამოაყალიბებდნენ პარტიულ ჯგუფებს. გამომშვიდობებისას ანი კლაინმა სამივეს გადასცა ცნობა, რომ ისინი ნამდვილად არალეგალური კომუნისტური პარტიისა და პარტიზანული ორგანიზაციის წევრები არიან.

ახლა უკვე საჭირო იყო ლოლაძე, რადგან საჭიროების შემთხვევაში მის სამხედრო ცოდნას და გამოცდილებას დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო. ლოლაძესთან მოლაპარაკება დაევალა შალვა ნოზაძეს. ნათქვამია გული გულს იცნობსო. ლოლაძემ თავიდანვე აუღო ალღო ნოზაძის ნაამბობს, რომელმაც გულახდილად მოუთხრო მას საქმის ვითარება. ასეულის უფროსმა განაცხადა, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდა თავის თანამემამულეებთან ერთად საერთო მტრის წინააღმდეგ.

გავიდა ხანი. ქართული ბატალიონი საიდუმლო შტაბს დაემსგავსა, რომელსაც წინ ძნელი და პასუხსაგები ამოცანა ჰქონდა შესასრულებელი. მაგრამ არც გერმანელები იყვნენ გულხელდაკრეფილნი. მათ იყნოსეს რაღაც არასაიმედო და ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვიტეს ბატალიონი კუნძულ ტექსელზე გადაეყვანათ. ეს იყო ერთგვარი სტრატეგიული ნაბიჯი, რომელიც მიზნად ისახავდა ტყვეთა იზოლირებას. ბატალიონი უსიტყვოდ დაემორჩილა ამ გადაწყვეტილებას, რადგან არალეგალურმა ცენტრმა ჯერჯერობით მორჩილება ბრძანა.

ასე მოახლოვდა 5 აპრილის საღამო. გერმანელების კომენდატურაში ლოლაძემ სრულიად შემთხვევით გაიგო, რომ ქართულ ბატალიონს აქუცმაცებენ და მისი წევრები სხვადასხვა ადგილებში გადაჰყავთ. მეტი ცდა არ შეიძლებოდა. სიტყვა ახლა მათზე იყო და აი ღამის პირველი საათი ამბოხების სიგნალად გადაიქცა.

* * *

უკვე რამდენიმე დღეა რაც ტექსელი ცეცხლის ალშია გახვეული. ამბოხებულებმა თითქმის მთლიანად ამოწყვიტეს კუნძულის გარნიზონი, მაგრამ გერმანელების სარდლობამ მაშველი დესანტი გამოგზავნა. მდგომარეობა გართულდა. მტრის ჭარბი ძალები ახალი ენერგიით უტევენ აჯანყებულებს. ტყვია-წამალი ოქროს ფასად ღირს. ბატალიონის უფროსმა შალვა ლოლაძემ გასცა განკარგულება ისროლონ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და გამოიზოგონ ტყვიები.

ქართველთა ასეულები ჯერ კიდევ აკონტროლებენ კუნძულის მნიშვნელოვან ნაწილს. შტაბს განუწყვეტელი კავშირი აქვს თავის ქვეგანაყოფებთან, რომლებიც არაჩვეულებრივი სიმამაცით ებრძვიან მოძალებულ მტერს. ვაჟკაცურად იბრძვის კოკსდორფის უბანი, რომელიც შუქურასთან ახლოსაა. სულ ახლახან გერმანელის ტყვიამ განგმირა ასეულის უფროსი შეყრილაძე. შტაბმა მიიღო სასწრაფო გადაწყვეტილება — კოკსდორფში შეყრილაძის ნაცვლად გაგზავნოს შალვა ნოზაძე, რომელიც სხვა ასეულში იყო მიმაგრებული პოლიტხელად.

ასეულის ახალმა მეთაურმა კოკსდორფში მისვლისთანავე ცადა შტაბთან დაკავშირება, მაგრამ ამაოდ. ლოლაძე პასუხს არ იძლეოდა. მაშინ ამბოხებულებმა ჰაერში აუშვეს წითელი მაშხალა. პასუხი შტაბიდან მაინც არ იყო. გადაწყდა საკუთარი ძალებით მოქმედება. ნოზაძემ მოიწვია ოცეულების მეთაურების თათბირი, სადაც ერთხმად დაადგინეს ალყის გარღვევა. თუ გერმანელები წინააღმდეგობას გასწევდნენ, მაშინ ამბოხებულები ცეცხლით უნდა გასულიყვნენ სამშვიდობოს. მაგრამ სად იყო სამშვიდობო?

ბრძოლის ქარცეცხლი შესუსტდა. ტყვიებისა და ჭურვების განუწყვეტელი ზუზუნიც შემცირდა. ნოზაძის ასეული მზად არის დაიწყოს ალყის გარღვევა. ... — ბა ... მებზე ... მაგრამ ... მაინც ... ლევს ფიქრი: სად არიან ნეტავ დანარჩენები? რატომ სდუმს შტაბი? სად არის ლოლაძე?

ღამის პირველ საათზე ათეულებად დაწყობილმა ქართველებმა დაიწყეს ალყის გარღვევა. კურსი აღებულ იქნა მახლობელ ტყისაკენ. ტექსელის ტერიტორიის დიდი ნაწილი ტყეების ვეებერთელა კვადრატებითაა მოფენილი. ამ ტყეებს შუა გადის გზა — კუნძულის მთავარი მაგისტრალი. ნოზაძის ასეულის ამოცანა იყო გათენებამდე მისდგომოდნენ ტყეს. გერმანელებს რასაკვირველია მხედველობიდან არ გამოეპარათ ასეულის მოძრაობა. ახალი ძალით ატყდა ცეცხლი, რასაც ალყაშემორტყმულებმა ცეცხლითვე უპასუხეს. რამდენიმე საათის ბრძოლის შემდეგ პირველი ოცეული მიადგა ტყეს. ცოტა ხნის შემდეგ მას მოყვა მეორე, მესამე...

ინათა. დაღლილი, გაწამებული მეამბოხეები გულაღმა იწვნენ ყინვით გამომშრალ მიწაზე და გაყურებდნენ ვეებერთელა ხის კენწეროებს ძლივ გადაშლილ ლაჟვარდს. დღეების მანძილზე სროლის ხმით გაყრუებული ყურები, რაღაც უხერხულ სიჩუმეს გრძნობდნენ. ტექსელზე ისეთი სიწყნარე იდგა თითქოს თოფი აქ რამდენიმე საუკუნე არ გავარდნილაო.

უეცრად გზის გაღმა მდებარე ტყიდან მოისმა ადამიანის ფეხის ხმა. მალე გამოჩნდა მამაკაცი მხარზე თოფგადაკიდებული, რომელმაც გადმოირბინა გზა და იქვე წყაროსთან ჩაცუცქდა. გერმანელია! — გაიფიქრეს განწირულებმა. მდუმარედ გამოტანილი განაჩენის სისრულეში მოსაყვანად მისკენ სამი მებრძოლი გაემართა. დანარჩენები შორიდან ადევნებდნენ მათ თვალყურს. ამბოხებულები ფეხაკრეფით მიუახლოვდნენ უცნობს და მოულოდნელად... გადაეხვივნენ.

— ჩვენია!—ყველას ერთხმად აღმოხდა გულიდან.

რამდენიმე წუთის შემდეგ კი „უცნობი“, ამბოხებულთა მეორე ასეულიდან, იჯდა ნოზაძის წინ და უყვებოდა ამბებს. ცნობები არ იყო მაინცდამაინც სასიხარულო. ლოლაძე დაიღუპა. არ ჩანდნენ სხვა მეთაურებიც. გზის გაღმა ტყეში არიან ევგენი არტემიძე და ნოე გონგლაძე. — დაამთავრა მოყოლა მან.

მცირე თათბირის შემდეგ გადაწყდა — ნოზაძის ასეული დაუცდიდა დაღამებას, რადგან გზას გერმანელი გუშაგები იცავდნენ და მთვარის შუქზე გადავიდოდა მეზობელ ტყეში.

როდესაც ტექსელზე ამოვიდა მთვარე, ნოზაძის ასეული უკვე მეზობელ ტყეში იყო. აქ დარჩენილმა მეთაურებმა მიიღეს მტკიცე გადაწყვეტილება—არ დაეტოვებინათ ტყე და გადასულიყვნენ პარტიზანულ ბრძოლებზე ვიდრე მოკავშირეთა ჯარები გადმოსხამდნენ დესანტს კუნძულზე.

**ნ. ახვლედიანი**

# არმიელები კვლავ იმარჯვებენ



სურათზე: თბილისელ მენავდეს ვააქვს მეორე ბურთი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

თბილისის არმიელებმა მატჩი ჩელიაბინსკის „ავანგარდის“ წინააღმდეგ დაიწყეს ტრადიციული შეტევებით მარჯვენა ფრთიდან. შეტევებს მალე მოჰყვა სახიფათო მომენტებიც: უშედეგოდ დაიკარგა ნორაკიძის კარგი გადაცემა ცენტრში, რამდენიმე კუთხური საჯარიმო გამოუყენებელი იქნა თავდამსხმელთა დაგვიანების გამო, მელაშვილის ძლიერი დარტყმა შორიდან აიღო მეკარე სიდოროვმა.

მიუხედავად იმისა, რომ არმიელთა შტურმი დროდადრო ზედ „ავანგარდის“ კარის წინ წარმოებდა, ანგარიში კარგა ხანს არ გახსნილა. ამისი ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ მენავდეს მარცხენა ფრთაზე საგრძნობი დისონანსი შექონდა თავდამსხმელთა თამაშში.

26-ე წუთზე ბგეევმა ხელით ითამაშა თავის საჯარიმო მოედანზე და მელაშვილმა ძლიერი დარტყმით 11 მეტრიდან გაიტანა გოლი — 1:0.

თამაშის 55-ე წუთზე ნორაკიძემ შესანიშნავად მიაწოდა ბურთი მარჯვნივ გადმონაცვლებულ მენავდეს, რომელმაც მეორე ბურთი გაგზავნა ბადეში — 2:0.

ხუთი წუთის შემდეგ რიაბენკომ დაახლოებით 32 მეტრიდან მოულოდნელად დაარტყა თბილისელთა კარისაკენ. ტიტოვი არ იყო მზად ბურთის მისაღებად და მისმა ნაგვიანევმა ნახტომმა ვერ მიაღწია მიზანს — 1:2.

არმიელებმა დაიწყეს ცენტრიდან და პირველივე კომბინაცია გოლით დაამთავრეს, რომელიც ნორაკიძემ გაიტანა გარღვევის შემდეგ — 3:1.

მეორე ტაიმის შუაში თამაშმა დაჰკარგა სიმწვავე. ბურთი დიდი ხნით მოგზაურობდა ერთი საჯარიმო მოედნიდან მეორისაკენ. ამ დროს რამდენიმეჯერ ზედმეტი სიმკვეთრით ითამაშა ჭანჭალეიშვილმა. ერთ-ერთ მომენტში იგი წინ აღმოჩნდა წასული და მის ზონაში გარღვევაზე გავიდა ფედოროვი. ჭანჭალეიშვილი დაეწია თავდამსხმელს და უკანიდან უხეშად წაართვა მას ბურთი. ბონდინის მიერ დარტყმული პენალტი აიღო ტიტოვმა, მაგრამ ხელებიდან გავარდნილ ბურთს მიუსწრო კვლავ ბონდინმა და ანგარიში გახდა 2:3.

ერთი ბურთის განსხვავება მატჩის დასასრულს, რა თქმა უნდა, ერთობ არასაიმედო ბალანსი იყო. ამიტომ თბილისელებმა სწრაფად გააძლიერეს შეტევები და შედეგსაც მიაღწიეს — თბილისელმა ივანოვმა მიუსწრო სიდოროვისა და აგეევის მიერ გათამაშებულ ბურთს და მეორე გოლი გაიტანა.

არმიელებმა მოიგეს მატჩი — 4:2.

**ე. ტაბუცაძე**

• • •

კუიბიშევის „კრილია სოვეტოვმა“ 4 ნოემბერს ტაშკენტში დაამარცხა ადგილობრივი „პახტაკორი“ ანგარიშით 3:2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხვალ! — ხვალ!

**გაიხსნება**

**„ბურევესტნიკის" სტადიონი**

**პროგრამაში: სპორტსმენთა პარადი, მასობრივი ტანვარჯიშული გამოსვლები, ფეხბურთი**


## მძლეოსანთა საშემოდგომო პირად-გუნდური შეჯიბრება

საკმაოდ თბილი გამოდგა მიმდინარე შემოდგომა. მზიანი, ნათელი დღეები რესპუბლიკის სპორტსმენებს საშუალებას აძლევს ჯერ კიდევ ღია ცისქვეშ ივარჯიშონ, მოაწყონ შეჯიბრებები. სწორედ ასეთი შეჯიბრება ჩატარდა მძლეოსნობაში 4-6 ნოემბერს თბილისის „დინამოს" სტადიონზე, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისის, გორის, რუსთავისა და ფოთის ნაკრები გუნდები.

შეჯიბრების პირველ დღეს, ბრძოლაში ერთდროულად ჩაებნენ სიგრძეზე მხტომელები, ბადრის მტყორცნელი ვაჟები და ბირთვის მკვრელი ქალები. ჭოკით ხტომაში თბილისელმა ი. შუქუროვმა დაძლია 3,90 მეტრი და 10 სანტიმეტრით აჯობა აჭარელ ე. პიპინოვს. თბილისელი გ. ჩადუნელის მიერ ნასროლი ბადრო 46,65 მეტრზე დაეცა. ე. ნოზაძემ და ო. გოჩაშვილმა (ორივე თბილისიდან) მოიპოვეს მეორე და მესამე ადგილები.

ბირთვის კვრაში ქალთა შორის კვლავ უძლიერესი იყო ლ. სესაძე, რომელიც ახლა ბათუმის გუნდში იმყოფება. მისი შედეგი 13,36 მ 1,85 მეტრით უკეთესია თბილისელ გ. ბრიტვინას შედეგზე.

აფხაზეთის წარმომადგენელი ქ. ხგრბა ყველაზე ადრე იყო 5000 მეტრზე რბენის ფინიშთან — 16.08,4. თბილისელი გ. გოდერძიშვილის შედეგია — 16.10,0. სხვა მონაწილეები საგრძნობლად ჩამორჩნენ გამარჯვებულებს.

ჩრდილოეთის სექტორზე ჩატარდა სიმაღლეზე ხტომა ქალთა შორის პირველი ადგილი დაიკავა ს. როზანოვამ (თბილისი) — 1,50 მ. აფხაზეთის წარმომადგენელს მ. კრაინიუკოვას წილად ხვდა II ადგილი — 1,40 მ, გორელმა ზ. ჯიჯიშვილმა დაიკავა მესამე ადგილი. სამაგიეროდ დიდი წარმატება ხვდა წილად მის თანაგუნდელს X-კლასელ მოსწავლეს თოფჩიშვილს 800 მეტრზე რბენაში. სტარტიდანვე რბოლას მასთან ერთად სათავეში ჩაუდგა ხალხთა სპარტაკიადის მონაწილე ლ. მაისაშვილი (რუსთავი), მაგრამ შემდეგ შედარებით გამოცდილმა სპორტსმენმა ვერ გაუძლო ტემპს და 5 წამით წააგო თოფჩიშვილთან, რომლის შედეგია 2.28,8.

20 კილომეტრზე სპორტული სიარულის სტარტზე გამოვიდა 2 სპორტსმენი, ფინიშამდე კი არც ერთს არ მიუღწევია... ერთი — ბ. რუხაია შეჯიბრებიდან გამოვიდა, ხოლო მეორე — ი. შერბინი (ორივე ფოთიდან) არასწორი სიარულისათვის (რბენაზე გადასვლა) მოიხსნა შეჯიბრებიდან.

მაღალი შედეგებით დამთავრდა ვაჟთა ფინალი 100 მეტრზე, ორმა მონაწილემ აჩვენა 11 წამზე უკეთესი შედეგი. გამარჯვებული ნ. კლიუევის (თბილისი) შედეგია 10,6 წამი, ხოლო ბათუმელმა ზ. ჯარაშნელმა აჩვენა 10,8 წამი. აღსანიშნავია, რომ ჯარაშნელს ნახევარფინალში 0,1 წამით უკეთესი შედეგი ჰქონდა.

**ო. გამრეკელი**

## გამოვლინდნენ ნიჭიერი ფეხბურთელები

ახალგაზრდა ნიჭიერ ფეხბურთელთა გამოვლინების მიზნით აფხაზეთში ამას წინათ ჩატარებულ იქნა ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ სოხუმის „დინამოსა" და განათლების განყოფილების, აგრეთვე გაგრის, გუდაუთის, ოჩამჩირისა და გალის რაიონების ჭაბუკი ფეხბურთელები.

შეჯიბრების ცენტრალური მატჩი იყო სოხუმის „დინამოს" ახალგაზრდათა შეხვედრა გაგრასთან. დასაწყისში სოხუმელებმა ორი ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში. მალე ანგარიში გახდა 3:1, მაგრამ გაგრის გუნდმა შეძლო გარდატეხის შეტანა თამაშში და სოხუმელთა კარში გატანილ იქნა საპასუხო ბურთები. მატჩის შედეგია 3:3. ამ შეხვედრაში კარგი თამაშით გამოირჩეოდნენ თავდამსხმელები რ. ბარქაია, შ. სიჭინავა (გაგრა), ს. ოვიეიანი, ა. ზარნადია (სოხუმი), მცველი შ. კ. სიჭინავა (გაგრა).

გათამაშების ბოლო კალენდარულ დღეს თამაშობდნენ გაგრისა და ოჩამჩირის გუნდები. გაგრელებმა ეს გადამწყვეტი შეხვედრა ჩაატარეს დიდი მონდომებით, კოლექტიურად, რასაც ვერ ვიტყვით მათ მოწინააღმდეგეებზე. მოიგო რა ეს შეხვედრა ანგარიშით 4:0, გაგრის გუნდმა (მწვრთნელი რ. შარტავა) გათამაშებაში დაიკავა პირველი ადგილი და მოიპოვა გარდამავალი თასი. მეორე ადგილზე გამოვიდა სოხუმის „დინამო" (მწვრთნელი ს. ესაკია).

სპეციალურად გამოყოფილი ჟიურის გადაწყვეტილებით, რომელსაც ხელმძღვანელობდა სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ჟორდანია, ვ. ბარქაიას, როგორც ამ შეჯიბრების საუკეთესო ფეხბურთელს მიეკუთვნა აფხაზეთის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის პრიზი.

გათამაშებამ ცხადყო, რომ აფხაზეთში საკმაო რაოდენობით არიან კარგი მონაცემების მქონე ახალგაზრდა ფეხბურთელები. მათი რიცხვიდან შეიძლება ამორჩეულ იქნან მაღალი ფიზიკური მონაცემების მქონე მოთამაშეები, რომლებითაც შეიძლება დაკომპლექტდეს თბილისის „დინამოს" დუბლიორთა შემადგენლობა.

**ც. დავითაშვილი.**

## ჩვენი კორესპონდენტის საუბარი ა. ალიოხინის შვილთან

მოსკოვში პ. ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში, სადაც ცხარე ბრძოლებში მიმდინარეობდა გენიალური რუსი მოჭადრაკის, მსოფლიო ჩემპიონის ალექსანდრე ალიოხინის ხსოვნისადმი მიძღვნილი დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, საერთო ყურადღებას იქცევდა ერთი ახალგაზრდა, რომელიც მსაჯთა კოლეგიის მაგიდას უჯდა — იგი ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე ალიოხინია — სახელმოხვეჭილი გროსმაისტერის ერთადერთი ვაჟიშვილი.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა თ. გიორგაძემ სთხოვა ალექსანდრე ალიოხინს რაიმე ეთქვა გაზეთ „ლელოს" მკითხველებისათვის თავისი მამის შესახებ. აი რა თქვა ა. ალიოხინმა.

— საბჭოთა კავშირის საჭადრაკო სექციამ გადაწყვიტა რა ჩემი მამის გარდაცვალებიდან 10 წლისთავის აღნიშვნა, დიდი საერთაშორისო ტურნირის გამართვით, მე მომიწვია ამ ტურნირზე დასასწრებლად. ვჩქარობ მოგახსენოთ, რომ მე მოჭადრაკე არა ვარ. თუმცა ცოტათი თამაში მაინც ვიცი. მოწვევამ მეტად გამახარა. ძალიან მინდოდა ჩემი თვალით მენახა გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა, გამეცნო ჩემი მამის, ე. ი. რასაკვირველია ჩემიც, მშობლიური მხარე. როდესაც ამ სიტყვებს ვამბობ, უხერხულად ვგრძნობ თავს იმის გამო, რომ მე წარმოშობით რუსმა არ ვიცი რუსული ენა. სამწუხაროდ, მე ბევრი რამ არ ვიცი ის, რაც ჩემმა მამამ იცოდა.

მოგახსენებთ, რომ ჩამოვედი ქ. ბაზელიდან (შვეიცარია), სადაც ვცხოვრობ ოჯახით. დედაჩემი შვეიცარიელია. მე იქ მივიღე განათლება და სპეციალობით ვარ თოვლის საწმენდი მანქანების ინჟინერი. ასაკი გაინტერესებთ? ინებეთ — 35 წლისა ვარ.

მამაზე ბევრის თქმა არ შემიძლია. ეს ჩემი ბრალი არ არის, რადგან 14 წლის ვიყავი, როდესაც იგი ჩვენ დაგვცილდა და საცხოვრებლად პარიზში გადასახლდა. მაგრამ იმ დროის შესახებ, როდესაც ერთად ვცხოვრობდით ვიცი საკმაოდ, რომ გაგიზიაროთ.

მამაჩემმა იცოდა ათი ევროპული ენა. ყოველ შემთხვევაში ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, ესპანურ და რუსულ ენებზე თავისუფლად ლაპარაკობდა და წერდა. იგი იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი იყო — დისერტაცია საფრანგეთის სორბონის უნივერსიტეტში დაიცვა. მას შეეძლო მთელი დღე ჭადრაკის დაფასთან გაეტარებინა.

საერთოდ მამას უყვარდა განმარტოება. იგი პოზიციების გარჩევაში ხშირად ალამებდა. მისი არქივი ათეული ხელნაწერების ტომებს შეიცავს.

მე ყოველთვის ვესწრებოდი საჭადრაკო შეჯიბრებებს, რომელშიც მამა მონაწილეობდა. მაკვირვებდა თამაშით მისი გატაცება. იმ დროს არც მე ვახსოვდი, თუმცა, როგორც იტყვიან, ცხვირწინ ვეჯდი.

ხშირად მეკითხებიან, რატომ არ ვიცი მე ჭადრაკის კარგი თამაში? სამართლიანი კითხვაა, რატომ არ უნდა თამაშობდეს წესიერად ა. ალიოხინის ერთადერთი შვილი. მაგრამ საქმე იმაშია, რომ მამასთან ხშირად არ ვყოფილვარ. სანამ პატარა ვიყავი, არ მასწავლიდა, ხოლო როდესაც წამოვიზარდე, ის სულ საზღვარგარეთ შეჯიბრებაში ღებულობდა მონაწილეობას. ისე კი სიმართლე გითხრათ: მამაზე უკეთ ალბათ ვერ ვითამაშებდი. იგი ჭადრაკისათვის იყო დაბადებული. მე კი შემეძლო მხოლოდ შემერცხვინა (ცუდი თამაშით) მისი დიდებით მოსილი სახელი —

ახლა, როდესაც ვესწრები ამ საერთაშორისო ტურნირს და ვუყურებ დიდი მოჭადრაკეების პარტიებს, მაგონდება მამის სიტყვები: ჭადრაკის სილამაზე კომბინაციებშია. ამიტომ ბოტვინიკის, კერესის, ბრონშტეინის მახვილგონიერი თამაში ნამდვილ მამაჩემს მაგონებს, ისეთსავე მიქეფარეს, დაულალავს, გაბედულსა და მგზნებარეს.

მოსკოვი დიდებული ქალაქია. არ ვიცი როგორ გითხრათ, რა უფრო მომწონს: უნივერსიტეტის ახალი შენობა, მეტრო, თუ ლუჟნიკის სტადიონი. აქ ყველაფერი კარგია და კარგი იქნებოდა, რომ დიდხანს გაგრძელებულიყო ეს ტურნირი, სახლში მდიდარი შთაბეჭდილებით დავბრუნდები. საქართველოს მე არ ვიცნობ, მაგრამ გამიგონია ლამაზია ბუნებით და ხალხით. გთხოვთ გადასცეთ ჩემი სალამი ყველა მშვიდობის, სპორტის მოყვარულ ქართველ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს.

## ღირსეულთა გამარჯვება

მოსკოვში, პ. ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში დამთავრდა გენიალური რუსი მოჭადრაკის ალექსანდრე ალიოხინის ხსოვნისადმი მიძღვნილი დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. როგორც მოსალოდნელი იყო შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის საინტერესო შემოქმედებითი და სპორტული ბრძოლა გაიმართა.

ტურნირის დაწყებამდე ჭადრაკის მოყვარულებს კანონზომიერად მიაჩნდათ მსოფლიო ჩემპიონის მ. ბოტვინიკისა და გროსმაისტერ ვ. სმისლოვის გამარჯვება. ასეც მოხდა. I-II ადგილები 11-11 ქულით მათ გაინაწილეს. ამან კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ დღესდღეობით საჭადრაკო სამყაროში ისინი უძლიერესნი არიან. ამიტომ მათი მატჩი მსოფლიო ჩემპიონის სახელზე, რომელიც 1957 წლის მარტში გაიმართება, უფრო საინტერესო გახდა.

დიდი აღმავლობით თამაშობდა მ. ტაიმანოვი, რომელიც თითქმის დასკვნით ტურებამდე სათავეში ედგა შეჯიბრებას. მაგრამ XIII ტურში იგი უკეთეს მდგომარეობაში ნაჩქარევად შეუთანხმდა სმისლოვს ყაიმზე, რის გამოც ბოლოს სწორედ ეს ნახევარი ქულა დააკლდა მას I ადგილისათვის და ამიტომ III ადგილით დაკმაყოფილდა.

უკეთესად შეეძლო ეთამაშა გროსმაისტერ დ. ბრონშტეინს (9,5 ქულა), რომელიც V ადგილზე გავიდა, იუგოსლავიის ჩემპიონ ს. გლიგორიჩის (10 ქულა) შემდეგ. ვერც გროსმაისტერ პ. კერესის თამაში დააკმაყოფილებს მის თაყვანისმცემლებს. თუმცა მისი გამარჯვება მ. ბოტვინიკთან მე-15 ტურში ალიოხინის ხსოვნის ტურნირის დამამშვენებელია. პ. კერესმა ლ. პახმანთან ერთად 8,5 ქულით VII-VIII ადგილები გაინაწილა.

იმედიანად იბრძოდა არგენტინელი მ. ნაიდორფი. მან 9 ქულა მოაგროვა და საპატიო VI ადგილი დაიკავა.

ალიოხინის ხსოვნის ტურნირი მიმდინარეობდა მთლიანი, მაღალმხატვრული პარტიების შექმნის დევიზით. მაგრამ ტურნირში იყო ისეთი პარტიებიც, როდესაც 10-16 სვლაში მოწინააღმდეგენი ყაიმზე თანხმდებოდნენ, რაც ეწინააღმდეგება ალიოხინის პროგრესულ შეხედულებას და ამიტომ მაყურებლები მას უკმაყოფილო ხვდებოდნენ.

პრიზები საუკეთესო პარტიებისათვის მიიღეს ბოტვინიკმა, ბრონშტეინმა, ნაიდორფმა, უნციკერმა და შტალბერგმა. სპეციალური პრიზი გროსმაისტერებთან საუკეთესო შედეგისათვის მიიღო ბულგარეთის ჩემპიონმა პადევსკიმ. ტურნირი წაუგებლად დაამთავრეს სმისლოვმა და ტაიმანოვმა.

დიდი ტურნირი, რომელშიც 12 ქვეყნის 16 მოჭადრაკე მონაწილეობდა ხალხთა შორის კულტურული თანამშრომლობის ნათელი მაგალითი იყო, როდესაც ყველა ერთად და თვითეული ცალკე იბრძოდა ალიოხინისათვის დამახასიათებელ საჭადრაკო შემოქმედებისათვის.

ნახ. გ. ფირცხალავასი.



დარტყმა!.. — კიდევ დარტყმა!.. — გოლი!..

## რინგის კვადრატზე

ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში ორ დღეს გრძელდებოდა თბილისის პირად-გუნდური პირველობა კრივში უმაღლეს სასწავლებლებს შორის. ვაჩირალდინებული რინგის კვადრატი მაყურებლებს ბევრ კარგ ბრძოლებს უქადდა, მაგრამ ეს მოლოდინი მხოლოდ მოკრივეთა ცალკეულმა წყვილებმა გაამართლეს.

ჩატარებულ ბრძოლებში გამოირჩეოდნენ სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის მოკრივეები, რომლებმაც მოიპოვეს პირველი ადგილი. მჩატე წონით კატეგორიაში სტუდენტმა გ. ბუმბიაშვილმა ფინალში დაამარცხა თავისი კოლექტივის წევრი ა. ალაშვილი. ქვემსუბუქ წონაში პირველთანრიგოსან ბ. პოზინის წინააღმდეგ ვერც ერთმა უმაღლესმა სასწავლებელმა ვერ შეძლო მონაწილის გამოყვანა, რის შედეგადაც მას უბრძოლველად მიენიჭა პირველი ადგილი. მსუბუქ წონაში შეჯიბრება წაუგებლად დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა სპორტის ოსტატმა ლ. ანდღულაძემ. მომდევნო წონით კატეგორიებში პირველი ადგილები დაიკავეს შ. ვარდანიანმა (ფიზკულტურის ინსტიტუტი), ო. ბარნაბიშვილმა (პოლიტექნიკური ინსტიტუტი). პირველ საშუალო წონაში შესანიშნავად ჩაატარა ფინალური შეხვედრა ე. სტეპანოვმა (ფიზკულტურის ინსტიტუტი). ა. ასატუროვთან, ბრძოლა მესამე რაუნდში შეწყვეტილ იქნა სტეპანოვის აშკარა უპირატესობის გამო.

მეორე საშუალო წონაში ქალაქის ჩემპიონი გახდა გ. გუნია (უნივერსიტეტი). ქვემძიმეში — გ. კონიაკინი (რკინიგზის ინსტიტუტი), მძიმეში — კ. ხოროსანოვი (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივმა.

**უ. ჭანჭალეიშვილი.**

**რედაქტორი ი. უზულავა.**


3

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".

ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-88-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი. ლენინის ქ. № 14.

უე 07166